

შედგენილია გერმანიის, შვეიცარიის, ბელგიის, საბერძნეთის, პოლონეთის, რუსეთის, სლოვაკიის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, უკრაინის, ბელარუსიის, ვიეტნამის, თურქეთისა და ბულგარეთის სამეცნიერო და საწესდებო წყაროების გამოყენებით.



**აჰდ 2000®
AHD 2000®**

გამოყენების მეთოდური მითითებები

1. ზოგადი დებულებები

1.1. **აჰდ 2000®** – ანტისეპტიკური (სადეზინფექციო) საშუალებაა. პრეპარატის 100 გრ. შეიცავს: 75 გრ. დენატურირებულ ეთანოლს, დამატებით – 0,18 გრ. დიბუტილადიპატი, სტაბილიზატორი (0,13 გრ. პოლიოლის ცხიმმჟავის ეთერი), არომატიზატორი 0,06 გრ.

1.2. **აჰდ 2000®** წარმოადგენს გამჭვირვალე აქროლად სითხეს სპირტებისა და არომატიზატორის სასიამოვნო სუნით. პრეპარატი შეიცავს კანის დამცავ კომპონენტებს, რაც ხდის შესაძლებელს პრეპარატის ხშირ გამოყენებას. გამოყენების შემდეგ კანზე ტოვებს შეუმჩნეველ მშრალ სტერილურ გარსს.

1.3. პრეპარატი მოქმედებს ბაქტერიოციდულად, ტუბერკულიოციდურად, ფუნგიციდურად, ინაქტივირებს ვირუსებს, მათ შორის შიდსის და ჰეპატიტ **B, C** ვირუსებს. 30 წამის განმავლობაში 100000-ჯერ ამცირებს ტრანზიტული მიკროფლორის რაოდენობას კანზე. მაღალეფექტურია კანის რეზიდენტური მიკროფლორის მიმართ, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან ანტისეპტიკას. კარგად ეთვისება კანს (*ხშირი გამოყენების შემთხვევაშიც*), საიმედოდ მოქმედებს შრატითა და სისხლით დაბინძურების შემთხვევაში. სპეციალური კომპონენტები იცავენ კანს გაშრობისგან, გაღიზიანებისგან და ადვილდებენ ხელთათმანების ჩაცმას.

2. გამოყენების არე.

აჰდ 2000® გამოიყენება ხელებისა და კანის ჰიგიენური თუ ქირურგიული ხშირი ანტისეპტიკური დამუშავებისთვის. აგრეთვე კანის წინასაოპერაციო და წინასანიექციო ანტისეპტიკური დამუშავებისთვის.

აჰდ 2000® იოლად დოზირებადი პრეპარატია კედლისა თუ ბოთლის დოზატორების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია იმ ადგილებში, სადაც საჭიროა პერსონალის ანტისეპტიკური დამუშავება:

– პალატებში, შესახვევებში, საპროცედურო, საოპერაციო, სამშობიარო ბლოკებში, ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, ლაბორატორიებში,

ინფექციურ განყოფილებებში, სტომატოლოგიურ კაბინეტში, ამბულატორიებში და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებში, ეპიდემიური საშიშროების ზონებში;

– სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილებში და სხვა სანიტარულ ტრანსპორტში;

– საყოფაცხოვრებო პირობებში ავადმყოფების, ახალშობილების და ხანდაზმული ადამიანების მოვლისას;

– სამრეწველო სფეროში (*კვების პროდუქტების, კოსმეტიკური და ფარმაცევტული მრეწველობა*);

– საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოებში (*საპარკმახერო, სასტუმრო, აბანო, საუნა*).

3. აჰდ 2000-ის გამოყენება.

აჰდ 2000® განკუთვნილია გარეგანი გამოყენებისათვის განუზავებელი სახით.

3.1 ხელების ქირურგიული ანტისეპტიკა.



მედპერსონალის ხელების ქირურგიული ანტისეპტიკა მიმართულია ტრანზიტული და რეზიდენტული მიკროფლორისა საწინააღმდეგოდ.

პრეპარატის გამოყენების წინ საჭიროა ხელების დაბანვა სპეციალური თხევადი საპნით **ვაზა-სოფტი®** (5 მლ. საპონი ორჯერ: ძლიერი დაბინძურებისას – პირველი დაბანა – ჯავრისით) და ერთჯერადი ხელსაწმენდით გაშრობა.

პრეპარატის მინიმუმ 5 მლ. შეიზილება მშრალ ხელებში მიღებული წესით (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თითის წვერებს და ფრხილის ღარებს) პრეპარატის სრულ აორთქლებამდე (მაგრამ არანაკლებ 2,5 წუთის განმავლობაში). კანის ანტისეპტიკური დამუშავების პროცედურა ტარდება ორჯერ.

3.2. ხელების ჰიგიენური ანტისეპტიკა.

ჰიგიენური ანტისეპტიკა მიმართულია ტრანზიტული მიკროფლორის წინააღმდეგ. მანიპულაციის შესრულების და პაციენტის გამოკვლევის წინ აუცილებელია დასაბანი ხსნარით ხელის დაბანვა და გაშრობა.

მშრალ ხელებში შეიზილება 3 მლ. **აჰდ 2000®** მის სრულ აორთქლებამდე.

მანიპულაციების შესრულების შემდეგ, თუ:

• კანი არ არის გაჭუჭყიანებული – ხელების დასველება პრეპარატის 3 მლ. და შეხელება 30 წამის განმავლობაში.

– კანი ჭუჭყიანია – საჭიროა ხელების გაწმენდა **ჰოსპისეპტ ხელსაწმენდით®**, რის შემდეგ პრეპარატის 3 მლ. შეიზილება 30 წამის განმავლობაში.

ჰიგიენური ანტისეპტიკის შემდეგ ხელები უნდა დაიბანოს **ვაზა-სოფტი®**-ით.



3.3. კანის ანტისეპტიკური დამუშავება.

კანის ანტისეპტიკური დამუშავება მდგომარეობს იმაში, რომ დამუშავებას დაქვემდებარებული ზედაპირი უნდა დასველდეს აჰლ 2000®-ით და გაშრეს. ექსპოზიცია არა ნაკლებ 30 წამი, ხოლო კანის ის მიდამოები, სადაც დიდი რაოდენობითაა საოფლე ჯირკვლები – არანაკლებ 2 წუთი.

4. გამოყენების თავისებურებები

4.1 არ გამოიყენება ღორწოვანი გარსის ანტისეპტიკისათვის ანესთეზიის გარეშე, არ დაუშვით თვალებში პრეპარატის მოხვედრა. იმ შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება არასასურველი რეაქციები პერსონალის კანის მხრიდან, ყველა შემთხვევაში აუცილებლად მიგვანია მაიოლა® H5-კრემის გამოყენება მუშაობის შემდეგ, რათა პერსონალის ხელის კანი იყოს საიმედოდ დაცული გარემოს აგრესიული (ფიზიკური, ქიმიური თუ ბიოლოგიური) ზემოქმედებისგან.



5. შეფუთვა, ტრანსპორტირება, შენახვის პირობები და ვადა.

5.1 შეფუთვა პოლიეთილენის ფლაკონი 125 მლ., 250 მლ. (დოზატორით), 500 მლ., 1000 მლ. მოცულობით.

5.2 აჰლ 2000® აალებადია, ამიტომ დაუშვებელია ღია ცეცხლთან შეხება. ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. ვარგისიანობის ვადა 3 წელია. გასათვალისწინებელია სახანძრო უსაფრთხოების ზომები. აალების შემთხვევაში ჩასაქრობათ გამოიყენება ქაფი, ქვიშა.

5.3 აჰლ 2000®-ის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ქარხანა-დამამზადებლის ტარით (შეფუთვით) საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, საშიში ტვირტის საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის წესების შესაბამისად სანძარსაწინააღმდეგო ზომების გათვალისწინებით.

მწარმოებელი - **Lysoform Dr. Hans Rosemann GmbH.** – გერმანია.

ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში



შ.პ.ს. "მედიკალიტატივი საქართველო" და სერვისი"

საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ. №83 ტელ/ფაქსი: 2-53-20-32; 2-53-20-36;

info@amts.ge

